თუ მომავალი კვლევები დაადასტურებენ, რომ მაგელანის მცირე ღრუბელი არსებითად ორი სხეულის სისტემაა, მათთვის ახალი სახელწოდებების მოფიქრება გარდაუვალი იქნება.

დე ლოს რეისის აზრით მაგელანის სახელი ყველა შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს. ის ხაზს უსვამს, რომ, როგორც ირკვევა, დედამიწის სამხრეთი ნახევარსფეროს ხალხები მაგელანამდე ათასობით წლით ადრეც იცნობდნენ ამ ობიექტებს და, ამას გარდა, ისინი იტალიელი და არაბი მკვლევრების მიერაც არიან მოხსენიებულნი მაგელანის მოგზაურობამდე. მეორე მხრივ, მაგელანი უკვე ისედაც განდიდებულია

ასტრონომთა მიერ: არსებობს ნასას მისია „მაგელანი“ ვენერაზე, ორი ტყუპი ტელესკოპი მისივე სახელწოდებით ჩილეში და იქვეა გიგანტური მაგელანის მშენებარე ტელესკოპიც. დედოს რეიესი ხაზს უსვამს მაგელანის მიერ ჩადენილ „სიმხეცეებს“ მისი მოგზაურობისას არგენტინაში და ყველგან, რის გამოც, მისი აზრით, იგი შეუსაბამოა ამგვარი დიდებისთვის, მით უფრო 17 000-ზე მეტ სტატიაში მისი გვარის მოხსენიებისთვის. შეიძლება ფაქტობრივად ეს ზუსტია, მაგრამ უმანკო ისტორიული პერსონაჟები რომ საერთოდ არ არსებობენ, ეტყობა, ამ მკვლევრებს ავიწყდებათ.

დედოს რეიესს მოუშადავია საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ციური სხეულებისთვის სახელის მიმნიჭებელი კომისიისთვის შესაბამისი წარდგინება მის უახლოეს გენერალურ ასამბლეაზე გადასაცემად. დგება საკითხი – რა ეწოდოს ამ ცნობილ „დრუბლებს“. ზოგი ასტრონომი (მაგ. მური) არჩევს ადგილობრივ (სამხრეთულ) სახელს, დედოს რეიესი კი რამდენიმე სახელწოდებას ამჯობინებს არჩევანის თავისუფლებისთვის. თან, იმისათვის რომ აქამდე შექმნილ წერით დოკუმენტებში ხმარებული ამ გალაქტიკათა შემოკლებული აღნიშვნების **ძველი ფორმები შენარჩუნდეს**, ითხოვს SMC და LMC ჩანაწერთა უცვლელად დატოვებას, ოღონდ იმ პირობით რომ ასო M, რომლითაც მაგელანის გვარი იწევა, ამიერიდან სხვა სიტყვას, თუნდაც საკითხის ფიზიკურ მნიშვნელობას უკავშირდებოდეს. მაგალითად, „milky“-ს („რძიანი“ გზა – ჩვენი გალაქტიკის თავდაპირველი ბერძნული სახელწოდება), ან „meridional“-ს, რაც აღნიშნულ დრუბელთა „სამხრეთულობაზე“ მიმნიშნებელი იქნებოდა.

დაველოდოთ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილებას. მეცნიერებაში ღრმად გამჯდარ სახელთა ცვლა, საზოგადოდ, სწორი არაა. მთავარი კი ამ შემთხვევაში ის უფროა, სინამდვილეში რამდენი „დრუბელი“ არსებობს – ორი თუ სამი, რაც ჯერაც გასარკვევია. როგორც მასსოვს, მსგავსი შემთხვევა ოდესღაც უკვე იყო – გალაქტიკების აღ-

გილობრივ ჯგუფში ასტრონომმა მაფეიმ იპოვა ორი გალაქტიკა, მერე კი აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მათგანი სინამდვილეში ერთმანეთის გასწვრივ (დედამიწიდან ორიენტირებისას) მდებარე ორი სხვადასხვა ობიექტის ერთობლიობა ყოფილა.

3. 1987 წლის ზეახლის ვარსკვლავიერი ნაშთი ბოლოს და ბოლოს ნაპოვნია

ზეახალ ვარსკვლავთა აფეთქების მოვლენა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ფიზიკური პროცესია სამყაროში. იგი გამოიხატება ვარსკვლავის გამოსხივების სიმძლავრის მრავალ მილიონჯერ ზრდით დროის მცირე, 1 დღე-ღამის რიგის მონაკვეთში, შემდეგ კი გაცილებით ხანგრძლივ, რამდენიმეთვიან პერიოდში იმავე გამოსხივების სიმძლავრის უკვე თითქმის უწყვეტი კლებით, საბოლოოდ კი ვარსკვლავის სრული გაუჩინარებით. ანთების მაქსიმუმში ვარსკვლავის ნათობა – მის მიერ 1 წმ-ში ყველა მიმართულებით გამოსხივებული ელექტრომაგნიტური გამოსხივების ენერგიის სრული რაოდენობა – შეიძლება რამდენიმე მილიარდჯერ აღემატებოდეს მზის ნათობას.

ზეახალი ვარსკვლავის ფენომენი დაკავშირებულია კარდინალურ გარდატეხასთან ვარსკვლავის ევოლუციაში და მისი ფიზიკური მდგომარეობის ძირფესვიანად შეცვლასთან. სახელდობრ, ამ მოვლენამდე ვარსკვლავი „ვითარდება“ შედარებით მშვიდად – იგი ანათებს მის ღრმა, ცხელ ფენებში მიმდინარე თერმობირთვული რეაქციების წყალობით, რომელთა მსგეულობაში მცირე ატომური წონის მქონე ქიმიური ელემენტების ატომთა სინთეზის გზით წარმოიქმნება უფრო მაღალი ატომური წონის მქონე ქიმიური ელემენტების ატომები, ამასთან ნივთიერების მასის გარკვეული (1%-მდე) ნაწილი გარდაიქმნება ენერგიად: წარმოიშობა ძლიერ მაღალენერგიული ანუ უაღრესად მოკლევადლოვანი ელექტრომაგნიტური გამოსხივების ფოტონები, რომლებიც თანდათანობით ვრცელდებიან ვარსკვლავის ზედაპირისკენ, საბოლოოდ გამოდიან გარე სივრცეში და განაპირობებენ ამ ციური სხეულის ნათობასაც და მის

მექანიკურ წონასწორობასაც. თერმობირთვული „საწვავის“, სახელდობრ მსუბუქი ელემენტების ამოწურვის მოახლოების-თანავე კი ვარსკვლავის ფიზიკური მდგომარეობა მკვეთრი არამდგრადობის სტადიაში გადადის.

სახელდობრ, „წინარი“ ევოლუციის“ პერიოდში ვარსკვლავის ყოველ კონკრეტულ უბანში ხორციელდება წონასწორობა ვარსკვლავის ცენტრიდან მისი ზედაპირისკენ მიმართულ აირის წნევის ძალასა და ვარსკვლავის ცენტრისაკენ მიმართულ, მნათობის მთლიანი მასის გრავიტაციული მიზიდულობის შემკუმშავ ძალას შორის, რაც განაპირობებს ვარსკვლავის გეომეტრიული ზომის სტაბილურობას მილიონობით წლის განმავლობაში. ბირთვული რეაქციების ინტენსიურობის მკვეთრი კლებისას კი, ვარსკვლავის წიაღის იმ არეში, სადაც მაღალი ტემპერატურის გამო ეს რეაქციები მიმდინარეობს (პირობითად ამ არეს ვუწოდოთ ვარსკვლავის ბირთვი), გამოსხივების წარმოქმნის მკვეთრად შემცირებით გამოწვეული აირის ასევე მკვეთრად შემცირებული წნევა ვეღარ აწონასწორებს გრავიტაციული კუმშვის ძალას. ამ პერიოდის დასაწყისში ვარსკვლავის წიაღის სიმკვრივე მილიონჯერ აღემატება წყლის სიმკვრივეს, მისი ტემპერატურა კი მილიარდობით გრადუსია. ამ პირობებში პროტონებთან ელექტრონების მიახლოებისას წარმოიქმნება ნულოვანი უძრავობის მასის მქონე ელემენტარულ ნაწილაკთა – ნეიტრინოებისა და ანტინეიტრინოების წყვილები, რომლებიც, გარემოსთან თითქმის უსასრულოდ მცირე ურთიერთქმედების უნარის წყალობით, დაუბრკოლებლივ გამოდიან ვარსკვლავიდან (ფოტონთა გამოსვლას ვარსკვლავიდან, მათი შთანთქმა-გადასხივების უწყვეტად მიმდინარე აურაცხელ პროცესთა წყალობით, განუზომლად ბევრი დრო სჭირდება!) და გამოაქვთ სითბური ენერგიის უზარმაზარი რაოდენობა. ამიტომ ამ არეში სწრაფად ვარდება ტემპერატურა და შედეგად იწყება ბირთვის თავისუფალი ვარდნა (ე.წ. **გრავიტაციული კოლაფსი**) ვარსკვლავის ცენტრისკენ. მაგრამ ეს პროცესი ნივთიერების სიმკვრივის, შედეგად კი აგრეთვე

მისი ტემპერატურის მყისიერ ზრდას იწვევს ასეულობით მილიარდ გრადუსამდე (მატერიის სიმკვრივე ამ დროს უკვე ატომბირთვის სიმკვრივეს უახლოვდება – 1 სმ³ მოცულობა მილიარდამდე ტონა მატერიას შეიცავს). ასეთ ექსტრემალურ პირობებში იწყება ჟანგბადისა და ნახშირბადის ბირთვული წვის კატასტროფული ფეთქებადი რეაქცია და ვარსკვლავის სიღრმეში წარმოიქმნება მძლავრი დარტყმითი ტალღა, რომელიც მიიმართება რადიალურად გარე სივრცის მიმართულებით, იტაცებს ვარსკვლავის ზედა ფენების ნივთიერებას და მოფანტავს მას კოსმოსის სივრცეში გრანდიოზული (10 000 კმ/წმ და მეტი) სიჩქარით. ასე წარმოიქმნება მნათობის მძლავრი გაფართოებადი გარსი, რომლის გამოსხივების ძალა, მისი გეომეტრიული ზომებისა და გამომსხივარი ფართის ზესწრაფი გადიდების გამო, კატასტროფული სიჩქარით იზრდება და ეს ყველაფერი ზეახალი ვარსკვლავის აფეთქების მოვლენად წარმოგვიდგება. ამ პროცესის კულმინაციურ მომენტში აფეთქებული ვარსკვლავის სიკაშკაშე თითქმის უტოლდება მისი შემცველი გალაქტიკის მრავალი მილიარდი ვარსკვლავის ერთობლივ ნათობას.

რაც შეეხება ვარსკვლავის „გადარჩენილი“ ბირთვის ნივთიერებას, იგი, როგორც ითქვა, ელვისებურად იკუმშება ცენტრისკენ. ამ პროცესს კი ორი სხვადასხვანაირი დასასრული შეიძლება ჰქონდეს მასში მონაწილე ნივთიერების მასის სიდიდეზე დამოკიდებულებით.

1. თუ ვარსკვლავის კატასტროფულად კუმშვადი გადარჩენილი ნაწილის მასა ნაკლები იქნება 2,5 მზის მასაზე, მძიმე ელემენტების ბირთვები დაიშლებიან პროტონებად და ნეიტრონებად, შემდეგ კი დადებითი პროტონებისა და უარყოფითი ელექტრონების შეერთებით წარმოიქმნება ელექტრულად ნეიტრალური მძიმე ნაწილაკები – ნეიტრონები და ასევე ნეიტრალური მსუბუქი ნაწილაკები – ნეიტრინოები (ეს უკანასკნელნი, როგორც ზემოთაც ითქვა, დაუბრკოლებლად გამოდიან გარე სივრცეში). ასე მოხდება ნივთიერების თითქმის სრული

ნეიტრონიზაცია და იქმნება ნეიტრონული სითხე, რომლის წნევა აჩერებს ვარსკვლავის ნაშთის კოლაფსს. ასე წარმოიქმნება ახალი მყარი, სტაბილური ფორმა ვარსკვლავისა, ე.წ. **ნეიტრონული ვარსკვლავი**. ამ უკანასკნელს გაცილებით ჩქარი ბრუნვა ახასიათებს, ვიდრე ნორმალურ ვარსკვლავებს. შესაძარებლად, თუ მზის სრულ ღერძულ ბრუნს 25 დღე-ღამე სჭირდება, თეთრი ჯუჯა ვარსკვლავებისას კი რამდენიმე საათი, ნეიტრონული ვარსკვლავების ბრუნვის პერიოდი სულ რამდენიმე წამია, ზოგ შემთხვევაში კი (ე.წ. **მილიწამიანი პულსარები**) წამის მეათასედები. მკითხველს შევახსენებ, რომ ციური სხეულის კუმშვისას მისი ღერძული ბრუნვის აჩქარებას განაპირობებს ე.წ. ბრუნვითი მომენტის (მასის, რადიუსისა და ბრუნვის ხაზოვანი სიჩქარის ნამრავლის) მუდმივობის ფიზიკური კანონი.

2. თუ ვარსკვლავის ბირთვის მასა მეტი იქნება 2,5 მზის მასაზე, მაშინ მის კუმშვას ვეღარავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებს, ამიტომ ვარსკვლავის რადიუსი შემოუსაზღვრელად შემცირდება. კერძოდ, იგი რომელიღაც მომენტში ნაკლები გახდება ვარსკვლავის გრავიტაციულ r_g რადიუსზეც (M -მასიანი სხეულის გრავიტაციული რადიუსის სიდიდე გამოისახება ფორმულით $r_g = 2GM/c^2$, სადაც G გრავიტაციული მუდმივია, c კი სინათლის სიჩქარე). ამ სიდიდის განმარტებით, r_g -რადიუსიანი სფეროს ნებისმიერ წერტილში ნებისმიერ ფიზიკურ ნაწილს, ამ სფეროდან გარე სივრცეში გამოსაღწევად, ვაკუუმში სინათლის სიჩქარეზე ანუ 300 000 კმ/წმ-ზე მეტი სიჩქარის შეძენა დასჭირდება, რაც ფარდობითობის თეორიის თანახმად განუხორციელებადია. მაშასადამე, ამ მეორე შემთხვევაში, კოლაფსის ბოლო სტადიაში ვარსკვლავის დარჩენილი ბირთვი უხილავი გახდება ამ ბირთვის გარეთ დარჩენილ სამყაროს ნებისმიერ არეში მყოფი დამკვირვებლისათვის, ანუ ვარსკვლავი ე.წ. **შავ ხვრელად** გადაიქცევა.

ზეახალი ვარსკვლავის აფეთქება ძალიან იშვიათი მოვლენაა სამყაროში. ყველაზე დიდ გალაქტიკებშიც კი, რომლებიც

ასეულობით მილიარდ ვარსკვლავს შეიცავენ, ზეახლის სახით საშუალოდ რამდენიმე ასეულ წელიწადში მხოლოდ ერთი ვარსკვლავი ინთება. ჩვენს გალაქტიკაში ზეახალი ვარსკვლავის ერთ-ერთი ანთება დააფიქსირეს ჩინელმა ასტრონომებმა 1054 წელს. მისი ნაშთია საყოველთაოდ ცნობილი ე.წ. **კი-ბორჩხალასებური ნისლეული**, რომელიც დღესაც განაგრძობს გაფართოებას 1000 კმ/წმ-ზე მეტი სიჩქარით. ანთების მაქსიმუმში ეს ობიექტი იმდენად კაშკაშა იყო, რომ შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანდა დღისით მთელი კვირის განმავლობაში! ასევე ზეახალი ვარსკვლავის აღმოჩენის პატივი წილად ხვდათ გამოჩენილ ასტრონომებს **ტიხო ბრაჰეს (1572 წ.) და იოჰან კეპლერს (1604 წ.)**. ისიც მნიშვნელოვანია, რომ გაკაშკაშებულ მდგომარეობაში ზეახალი ვარსკვლავი ცოტა ხანს რჩება, ამიტომ ანთების მაქსიმუმში მისი დაფიქსირებაც ადვილი არაა. შედარებით ხშირია ზეახალი ვარსკვლავის გაფართოებადი ნაშთების პოვნა ანთების მაქსიმუმის მომდევნო პერიოდში, რადგან ისინი ხილვადნი რჩებიან მათ სრულ გაფანტვამდე, ანუ ათასობით წლის განმავლობაში. XX ს-ის შუა ხანებში ოპტიკური ასტრონომია ჩვენს გალაქტიკაში აფეთქებულ 10-მდე ზეახალი ვარსკვლავის ნაშთს იცნობდა, თუმცა შემდგომში წარმოშობილი **რადიოასტრონომიის** მეთოდებით მალევე 10-ჯერ მეტი ზეახლის ანთების ნაშთი გამოუვლენიათ. რამდენიმე ასეული ნაშთი ზეახლის ანთებისა იპოვეს სხვა გალაქტიკებშიც. მევეთრად გაიზრდება ამგვარ ობიექტთა აღმოჩენების რიცხვი წინა და მიმდინარე საუკუნეში უმძლავრესი თანამედროვე კოსმოსური ტელესკოპების მწყობრში შესვლის გამო.

ახლა კი შევეხოთ 1987 წლის 23 თებერვალს მომხდარ ექსტრაორდინალურ აღმოჩენას, როცა დედამიწის ცივილიზაციამ შეამჩნია შეუიარაღებელი თვალით ხილვადი პირველი ზეახალი ვარსკვლავის ანთება კეპლერის ეპოქის შემდგომი მთელი 4 საუკუნის განმავლობაში. იგი აფეთქდა **მაგელანის დიდ ღრუბელში**, დედამიწიდან 168 000 სინათლის წლის მანძილზე, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ეს აფეთქება სინამდვილეში

1680 საუკუნის წინათ ანუ ჩვენი ცივილიზაციის გარიჟრაჟზე მოხდა და მხოლოდ XX ს-შიღა მოადწია ამ მოვლენის მაუწყებელმა აფეთქების სინათლემ დედამიწამდე! ეს იყო ყოველად უნიკალური მოვლენა, რომლის დროსაც უშუალოდ დაფიქსირდა ვარსკვლავის **ნეიტრინული ანთება**, რომელიც თან სდევს ხოლმე მსგავს აფეთქებებს, მაგრამ ძალიან ხანმოკლეა და ამასთან სპეციალურ დაკვირვებებს საჭიროებს მის დასაფიქსირებლად. ბუნებრივია, აფეთქების ნაშთი აუცილებლად დაემორჩილებოდა გრავიტაციული კოლაფსის მოვლენას და საბოლოოდ ვარსკვლავის ბირთვი რომელიმე ზემკვერთვ ობიექტად უნდა გადაქცეულიყო, სახელდობრ კი ნეიტრონულ ვარსკვლავად. ნეიტრინული ანთების ხანგრძლივობა (10 წმ) სწორედ ამაზე მეტყველებდა და გამორიცხავდა შავი ხვრელის წარმოქმნას: თეორეტიკოსთა აზრით ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნეიტრინული ანთება გაცილებით ნაკლებ ხანს უნდა გაგრძელებულიყო.

ბუნებრივია, 1987A ზეახალი, რომელიც ვარსკვლავ Sandulake-69 202-ის – 15-20 მზის მასის მქონე ცისფერი ზეგვიანტის აფეთქების მაუწყებელი იყო, უმაღლესი ასტრონომიული კვლევების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ობიექტად. მრავალრიცხოვან დაკვირვებათა გარდა სრულდებოდა თეორიული კვლევებიც. სახელდობრ, ცდილობდნენ გაერკვიათ, რა ბედი ეწია აღნიშნული ვარსკვლავის ბირთვს – რომელი სახის ზემკვერთვ ობიექტად კოლაფსირდა იგი. ასევე იყო მცდელობები აფეთქების შედეგად წარმოქმნილი გაფართოებადი ღრუბლის შესწავლისა, ოღონდ ნაკლებ წარმატებული.

პროგრესი დადგა ბოლო 5 წელიწადში: 2019 წელს მაცუურამ კოლეგებთან ერთად გამოაქვეყნა ამ ზეახლის ნაშთის ფოტოები, გადაღებული ატაკამას დიდი მილიმეტრული მასივით (რადიოობსერვატორია ჩილეში). მათ მიუთითეს გამოთვარ ნივთიერებაზე ზეახლის მიერ გამონატყორცნი მატერიის (ნისლეულის) ცენტრში, ოღონდ ვერ უპასუხეს, რა იყო ამ წარმონაქმნის გამათბობელი წყარო: **რადიოაქტიური ქიმიური**

ელემენტების დაშლით წარმოქმნილი გამოსხივება, თუ ახალ-ჩამოყალიბებული ნეიტრონული ვარსკვლავის მიერ გამოსხივებული მაღალენერგიიანი ფოტონები. 2021 წელს გრეკომ და მის თანამშრომელთა ჯგუფმა იპოვეს ნასას ორი რენტგენული ტელესკოპის დაკვირვებათა ძველი ჩანაწერები, რომლებიც აფიქსირებდა მაგნიტურად ჩაჭერილი ნაწილაკების მიერ გამოსხივებულ რენტგენულ ტალღებს ამ ზეახლის ნაშთის ცენტრში, მაგრამ ვერ გაარკვიეს, ეს ნაწილაკები ნეიტრონული ვარსკვლავის მაგნიტური ველის ძალწირებმა ჩაიჭირეს თუ დარტყმითი ტალღის მიერ წარმოქმნილი ველის ძალწირებმა. ანუ ვერ გაიგივდა ზეახლის აფეთქების ნაშთის ცენტრალური ობიექტის ასტრონომიული ბუნება.

მნიშვნელოვანი შედეგი კი მიიღო სტოკჰოლმის უნივერსიტეტის მკვლევარმა კ. ფრანსონმა და მისმა ჯგუფმა, რომლებმაც გამოიყენეს რამდენიმე წლის წინ გაშვებული **ჯეიმს ვების კოსმოსური ტელესკოპი**, კერძოდ – მისი დიდი შეღწევის (ზემერთალ ობიექტთა ფიქსირების) უნარი და ისიც, რომ მას შეეძლო **სპექტრად** ანუ სხვადასხვა ტალღის სიგრძეების მქონე კომპონენტთა ერთობლიობად დაეშალა კოსმოსურ ობიექტთა გამოსხივება.

იდეა ემყარებოდა შემდეგს: თუ ზეახლის ცენტრში არსებობს ვარსკვლავების აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ნეიტრონული ვარსკვლავი, მის მაღალენერგიულ ფოტონებს შეუძლიათ ზეახლის ნაშთში არსებული ქიმიური ელემენტების ატომების იონიზება – ელექტრონის მოწყვეტა ატომბირთვისაგან და ელიფსური ორბიტიდან მისი გადაყვანა ბირთვის ირგვლივ განლაგებულ რომელიმე თავისუფალ (ჰიპერბოლურ) ორბიტაზე. ასე წარმოქმნილ თავისუფალ ელექტრონს შემდეგ შეუძლია თავისთავადი ანუ სპონტანური პროცესების შედეგად მიმდევრობით გადავიდეს ზევიდან ქვევით, ჯერ რომელიმე დისკრეტულ, მაღალნომრიან ორბიტაზე (ე.ი. ხელახლა შეუერთდეს ატომს), შემდეგ კი ასევე მიმდევრობით – კიდევ უფრო ქვემოთ განლაგებულ ელიფსურ (დისკრეტულ) ორბიტე-

ბზე. ყოველი k -ურიდან ყოველ i -ურ დონეზე გადასვლისას k ატომი გამოასხივებს n_{ik} სისშირის (ე.ი. I_{ik} ტალღის სიგრძის) მქონე ფოტონს. ეს დისკრეტული გადასვლებია, ამიტომ მათ შედეგად სპექტრში წარმოიშობა ზუსტად განსაზღვრულ ტალღის სიგრძეთა მქონე გამოსხივების სპექტრული ხაზები. ყოველ ქიმიურ ელემენტს k თავისი კარგად ცნობილი სპექტრული ხაზების სისტემები ახასიათებს. გამოსხივების ხაზების წარმოქმნის ამგვარ სქემას **ფლუორესცენცია** ეწოდება და იგი დამახასიათებელია, მაგალითად, ცხელი ვარსკვლავების ირგვლივ არსებული აირის ღრუბლების გამოსხივებისათვის. ფრანსონის ჯგუფმა სწორედ ამგვარი ემისიური ხაზების მოძებნა დაიწყო განსახილველი ზეახლის ნაშთის სპექტრში იმ იმედით, რომ ასე მიაკვლევდა მათ წარმოშობ მატალენერგიულ წყაროსაც – ზეახალი ვარსკვლავის კომპაქტურ ნაშთს.

ნასას კოსმოსურმა ტელესკოპმა ასეთი ემისიური ხაზები ვერ იპოვა განსახილავი ზეახლის ნაშთის სპექტრის ოპტიკურ უბანში. ასევე ნასას კუთვნილმა სპიტცერის ტელესკოპმა k , თუმცა შეამჩნია ამგვარი ხაზები ამ ობიექტის სპექტრის ინფრაწითელ უბანში, ვერ დაადგინა, რა იყო მათი წარმოქმნის მიზეზი. ამიტომ მკვლევრებმა მიმართეს უფრო მაღალი კვლევითი შესაძლებლობების მქონე ჯეიმზ ვების კოსმოსურ ტელესკოპს და დაკვირვებების დაწყებიდან უკვე რამდენიმე დღეში, 2022 წლის 16 ივლისს, მიიღეს 1987A ზეახლის ნაშთის მკვეთრი გამოსახულება ამ ტელესკოპის 6,5 მ-იანი სარკით, და ასევე მისი სპექტრიც ინფრაწითელი უბნების ჩათვლით. მასში მრავალი ემისიური ხაზი აღმოჩნდა. სახელდობრ, მიაკვლიეს **გოგირდისა და არგონის** ფლუორესცენციურებადი სპექტრული გამოსხივების საკმაოდ ინტენსიურ ხაზებს. გუნდმა გაზომა ამ ხაზების გამომსხივარი აირის სიჩქარეც და დაასკვნა, რომ ეს ნივთიერება ზეახალი ვარსკვლავის საწყისი ბირთვის გარე მხარიდანაა გამოტყორცნილი, სადაც მოსალოდნელიც იყო არგონისა და გოგირდის არსებობა. ფლუორესცენციის მექანიზმს k (ატომთა იონიზაციას და შემდგომ კასკადურ გადასვლებს

ქვედა დონეებისკენ) სჭირდება მაღალენერგიული ფოტონები, ხოლო ამ ფოტონთა ერთადერთი წყარო ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ახლომახლო მყოფი ნეიტრონული ვარსკვლავი იყოს.

თვით ნეიტრონული ვარსკვლავის ზუსტი აღნაგობა, ფრანსენის აზრით, ჯერ ცალსახად არაა გარკვეული. იგი შეიძლება მაღალენერგიულ რენტგენულ ფოტონებს ასხივებდეს რამდენიმე მილიონ კელვინამდე გაცხელებული **ზედაპირიდან**, ან კოლაფსირებად ბირთვს შეეძლო შეექმნა **სწრაფდამბრუნავი პულსარი**, რომლის ძლიერ მაგნიტურ ველს შესწევს უნარი ააგზნოს ნაწილაკები და გამოასხივებინოს მათ ულტრაიისფერი სინათლე, ამ უკანასკნელის ფოტონებს კი საკმაოდ დიდი ენერგია აქვთ და შეუძლიათ ჩართონ ფლუორესცენციის მექანიზმი ატომთა იონიზაციის გზით.

თუ ახალთახალი პულსარი 1987A ზეახლის ნაშთში მართლაც არსებობს, მის დაწვრილებით შესწავლას მკვლევრები შეძლებენ მხოლოდ ზეახალი ვარსკვლავის მტერიანი ნაშთის გაფანტვის შემდეგ.

ამ გამოკვლევის აღმწერი სტატია: „1987A ზეახლის ნაშთის ემისიური ხაზები, წარმოქმნილი კომპაქტური ობიექტიდან მომდინარე მაიონიზებული გამოსხივებით“ გამოქვეყნებულია ჟ. „Science“-ის 2024 წლის 23 თებერვლის გამოშვების 898-902 გვებზე. ამ სტატიის მოკლე მიმოხილვა და მისი სხვადასხვა ასპექტების შეფასება კი მოცემულია ჟურნალის ამავე გამოშვების 808 გვ-ზე დ. კლერის გამოსმაურებაში.

გამოკვლევის ავტორები მიუთითებენ, რომ 1987A ზეახალი ვარსკვლავის ანთებას ახლდა ნეიტრონის გამოსხივების აფეთქება, რაც ნიშნავს, რომ ამ ანთების შედეგად უნდა წარმოშობილიყო ზემკვრივი ობიექტი – ნეიტრონული ვარსკვლავი ან შავი ხვრელი. მათი არსებობა პირდაპირი დაკვირვებებით აქამდე არ დადასტურებულა. ხაზოვან გამოსხივებას, რაც ავტორებმა აღმოაჩინეს, ცისფერი წანაცვლება ახლავს ზეახალი ვარსკვლავის აიროვანი ნაშთისადმი, რაც მეტყველებს ამ

ნაშთის ჩვენთან მოახლოებაზე ცენტრალურ ობიექტთან მიმართებაში. თვით ამ ზეახლის ნაშთი რამდენიმე დისკრეტულ კომპონენტს შეიცავს. შუა ამონაფრქვევი ე.წ. ეკვატორულ რგოლთან და გარემომცველ ვარსკვლავთშორის გარემოსთან ურთიერთქმედებს. ეს ეკვატორული რგოლი აფეთქებაზე 20 000 წლით ადრე უნდა წარმოშობილიყო. შიდა ამონაფრქვევი ქმნის დაახლოებით 3000 კმ/წმ სიჩქარით წანაცვლებულ ფართო ემისიურ ხაზებს, რომლებსაც წარმოშობს ტიტანის (^{44}Ti) ბირთვის რადიოაქტიური დაშლა.

1987A არის ყველაზე ბოლო აფეთქება ვარსკვლავისა ზეახლის სახით გალაქტიკათა მთელ ადგილობრივ ჯგუფში, ამიტომ მისი ნაშთის ეს კვლევა მნიშვნელოვანია ვარსკვლავთა ფიზიკის სფეროში.

ზოგიერთი ზემასიური შავი ხვრელის შესახებ

ბ.ჯავახიშვილი

სამყაროს უთვალავ, უცნაურ და შთამბეჭდავ წარმონაქმნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო უდავოდ შავი ხვრელებია. წინა საუკუნეში ისინი მხოლოდ ჰიპოთეტურ ობიექტებად მოიაზრებოდა, ამჟამად კი მრავალდიაპაზონიანი (ყველატალღოვანი) ასტრონომიის დახმარებით ჩვენ უკვე გვაქვს საშუალება „დავინახოთ“ და კიდევაც გავზომოთ ისინი. აქ სიტყვა „დანახვა“, ბუნებრივია, არ გულისხმობს შავი ხვრელის მართლა თვალთ შემჩნევას. იგულისხმება მხოლოდ შავი ხვრელის გავლენის დაფიქსირება მის ირგვლივ არსებულ გარემოზე, რაც ასევე ფრიად შთამბეჭდავია.

თავისთავად შავი ხვრელის ცნება მოიაზრებს იმგვარ ობიექტებს, რომლებსაც ისე ძლიერი გრავიტაციული ველი აქვთ, რომ მას ელექტრომაგნიტური გამოსხივებაც კი ვერ „გაუხსლტება“ გარე სივრცეში. ოღონდ სხვა სხეულებზე მისი უზვეულო ზემოქმედებანი მხოლოდ მასთან უშუალო სიახლოვეს ვლინდება, უფრო დაშორებულ სხეულებზე კი იგი ისეთ-სავე გავლენას ახდენს, როგორც მისი ტოლი მასის მქონე ნებისმიერი სხეული. მაგალითის სახით, თუ მზის ადგილას იქნებოდა იმავე მასის შავი ხვრელი, მაშინ დედამიწა მისგან სინათლეს ვერ მიიღებდა, მაგრამ ზუსტად ისეთივე ელიფსურ ორბიტაზე იმოძრაებდა, როგორზეც ამჟამად მოძრაობს. ასე რომ, ისეთი გამოთქმები, თითქოს შავი ხვრელი „ყლაპავს“ ვარსკვლავებს, შთანთქავს გარემოს და ა.შ., ერთგვარად მისი თვისებების უარყოფითი ჰიპერბოლიზებაა.

ამ მცირე მიმოხილვაში მსურს მკითხველს მივაწოდო ინფორმაცია რამდენიმე შავი ხვრელის შესახებ, რომლებსაც ფრიად შთამბეჭდავი მახასიათებლები აქვთ.

1. Ton 618

მკითხველს უდავოდ დააინტერესებს, რატომ ჰქვია ამ ობიექტს ასეთი უცნაური სახელი.

Ton 618 „ტონანტზინტლას 618“ – ის აბრევიატურაა. იგი აღმოაჩინეს მექსიკაში არსებულ ტონანტზინტლას ობსერვატორიაში მექსიკელმა ასტრონომებმა ბრაულიო ირიარტემ და ენრიკე შავირამ. ისინი ჩვენი გალაქტიკის („ირმის ნახტომის“) ეკვატორული სიბრტყიდან დაშორებულ არეებში ეძებდნენ მკრთალ ცისფერ ვარსკვლავებს (ძირითადად ასეთებია ე.წ. „თეთრი ჯუჯები“). 70 სმ-იანი შმიდტის ტელესკოპით გადაღებულ ფირფიტებზე მათ დააფიქსირეს 15.9 ვარსკვლავიერი სიდიდის ობიექტი, რომელსაც კატალოგში 618-ე ნომერი აქვს. ცნობის მოყვარეთათვის მოგვყავს ამ კატალოგის სათანადო უბანი.

617	24 . 1	30 58	149	85	15.2	m. v.	18
618	26 . 0	31 46	133	85	15.4	d. v.	18
619	27 . 7	25 37	219	86	15.8	d. v.	18
620	28 . 3	30 48	143	86	15.2	v.	18
621	31 . 4	29 26	150	87	16.0	m. v.	18

ტონანტზინტლას კატალოგის ის ნაწილი, სადაც პირველად აღიწერა Ton 618.

ჩნდება აზრი, რომ მსგავსი ობიექტები სამყაროში სხვაც ბევრი უნდა იყოს, თუმცა მათი აღმოჩენა გვიჭირს – მათ დანახვაში გალაქტიკის ეკვატორის სიბრტყეში განლაგებული მიმართულებებით ხელს გვიშლის დიდი რაოდენობის მტვერი და ვარსკვლავთშორისი ნივთიერება, რომელიც უმეტესად შთანთქავს მოკლევადლოვანი დიაპაზონის ცისფერი უბნის გამოსხივებას.

1970 წელს იტალიაში, სახელდობრ ბოლონიაში ჩატარებული რადიო დაკვირვებებით დამტკიცდა, რომ Ton 618 არის კვაზარი (ასე უწოდეს ასტრონომებმა 1963 წელს აღმოჩენილ, სამყაროს უშორეს, მეტაგალაქტიკის გაფართოების შედეგად ყველაზე სწრაფად მოძრავ და ყველაზე დიდი ნათობის წერტილოვან რადიოწყაროებს). 1976 წელს მარი-ჰელენ ულრიხმა

მაკდონალდის ობსერვატორიაში მიიღო Ton 618-ის ოპტიკური სპექტრები, რომლებიც აჩვენებდნენ კვაზარისთვის დამახასიათებელ ემისიის (გამოსხივების) ხაზებს. სპექტრში ხაზების მაღალი წითელი წანაცვლების გამო უღრისმა დაასკვნა, რომ Ton 618 იყო ძალიან შორეული და, შესაბამისად, ცნობილთა შორის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა კვაზარი.

როგორც კვაზარი, Ton 618 ითვლება აქტიურ გალაქტიკურ ბირთვად, რომლის ცენტრშიც განლაგებულია ზემასიური შავი ხვრელი. ეს უკანასკნელი ანათებს ე.წ. აკრეციულ დისკოზე ცხელი აირისა და სხვა სახის მატერიის დაცემის შედეგად. $Z = 2.219$ წითელი წანაცვლების გათვალისწინებით გამოთვლილი მანძილი Ton 618-მდე დაახლოებით 10.8 მილიარდი სინათლის წელია. ცენტრალური კვაზარის ბრწყინვალეობის გამო, მისი შემცველი („მასპინძელი“) გალაქტიკა დედამიწიდან არ მოჩანს. ობიექტის აბსოლუტური სიდიდე $-30,7$ -ია. მისი სიკაშკაშე მზისას აღემატება 140 ტრილიონჯერ, რაც მას ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ობიექტად ხდის სამყაროს შესწავლილ ნაწილში.

სხვა კვაზარების მსგავსად, Ton 618 ასხივებს ემისიურ სპექტრს, რომელიც წარმოიშობა უფრო მეკრივი აირებიდან, ვიდრე აკრეციული დისკოა. ხაზების სიგანის მიხედვით შეიძლება გამოვითვალოთ თვითონ კვაზარის გამოსხივება. შემერმა და თანაავტორებმა გამოიყენეს რამდენჯერმე იონიზებული აზოტის NV და ნახშირბადის CIV ემისიის ხაზები, რათა გამოეთვალია წყალბადის ბალმერის სერიის მეორე, ე.წ. H β სპექტრული ხაზის სიგანე მინიმუმ 29 კვაზარისა და მათ შორის Ton 618-ისთვის. მათ გაზომეს ნივთიერების აკრეციის (ამ შავ ხვრელებზე ვარდნის) სიჩქარე და შესაბამისად ცენტრალური შავი ხვრელების მასაც.

აღმოჩნდა, რომ Ton 618-ს გააჩნია უჩვეულოდ ფართო ემისიური გამოსხივების ხაზები, რაც, ფოტონთა სიხშირის ცვლილების დოპლერისეული ეფექტის შესაბამისად, აირის ძალიან სწრაფ მოძრაობაზე მიუთითებს; Ton 618-ის ხაზების ნახევარსიგანე დანაკვირვები 29 კვაზარიდან ყველაზე დიდი იყო და აკრეციის სიჩქარე 10 500 კმ/წმ-ს უტოლდებოდა. ასეთი

სიჩქარეების არსებობა თავისთავად ძალიან ძლიერ გრავიტაციულზე მიუთითებს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით Ton 618 – ის ცენტრალური შავი ხვრელის მასა შეფასდა 66 მილიარდ მზის მასად. ეს ითვლება ერთ-ერთ უდიდეს მასად, რომელიც ოდესმე დაფიქსირებულა ასეთი ობიექტისთვის; უნდა აღინიშნოს, რომ ირმის ნახტომის გალაქტიკის ვარსკვლავების ჯამური მასა 64 მილიარდი მზის მასის ტოლია. Ton 618 15300-ჯერ უფრო მასიურია, ვიდრე Sagittarius A, ანუ ირმის ნახტომის ცენტრალური შავი ხვრელი. ასეთი მაღალი მასით Ton 618 შეიძლება მივაკუთვნოთ ზემასიურ შავ ხვრელებს. ამ მასის შავი ხვრელის შეარცმოდის რადიუსი 1300 ა.ე.-ია (დაახლოებით 195 მილიარდი კმ ან 0,02 სინათლის წელი), რაც 40-ჯერ აღემატება მანძილს ნეპტუნიდან მზემდე, და მისი მოვლენათა ჰორიზონტი საკმარისად დიდია იმისათვის, რომ მასში მოთავსდეს 30-ზე მეტი მზის სისტემა.


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს გე-მ და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს უახლესი გაზომვები. მათ გამოიყენეს C IV ემისიის ხაზი შრემერის მიერ გამოყენებული H β -ს ალტერნატივად და მიიღეს გარემომდგევი აირის უფრო დაბალი ფარდობითი სიჩქარე 2761 ± 423 კმ/წმ, რაც მიუთითებს ცენტრალური შავი ხვრელისთვის უფრო დაბალ მასაზე (40,7 მილიარდი მზის მასა, რაც შესაბამისად უფრო მცირეა, ვიდრე წინა შეფასება).

Ton 618-ის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობაა ლაიმან-ალფას (წყალბადის პირველი სერიის პირველი ხაზის) გარსი, რომელსაც სხვადასხვა ლიტერატურაში ხანდახან ლაიმან-ალფა ბუშტსაც უწოდებენ ხოლმე.

მისი დაკვირვება ხდება 1980 წლიდან. ზოგადად, დედამიწის მიმართ უძრავი წყაროს ლაიმან-ალფა გამოსხივებას დედამიწის ატმოსფერო შთანთქავს, მაგრამ რადგან Ton 618-ს გააჩნია დიდი წითელი წანაცვლება, ამიტომ Ton 618-ის ლაიმან-ალფა მოჩანს ხილულ უბანში. ამ ობიექტზე დაკვირვება ზოგადად საშუალებას გვაძლევს ასეთი ნისლეულები უფრო კარგად შევისწავლოთ.

2021 წელს ატაკამას დიდი მილიმეტრიანი რადიოტელესკოპით (ALMA) ჩატარებულმა დაკვირვებებმა გამოავლინა რომ Ton 618-ის ლაიმან-ალფა გამოსხივების წყაროს წარმოადგენს კვაზარისა და მისი მასპინძელი გალაქტიკის გარშემო მყოფი აირის უზარმაზარი ღრუბელი. ეს ღრუბელი წარმოადგენს აქამდე ცნობილ ერთ-ერთ ყველაზე დიდ ლაიმან-ალფა ბუშტს (LAB).

LAB არის ისეთი ნისლეულების უზარმაზარი გროვა, რომლებიც ასევე ლაიმან-ალფას გამომსხივებლებად კლასიფიცირდება. ამ უზარმაზარ, გალაქტიკის ზომის ნისლეულებს მინიმუმ ასობით ათასი სინათლის წლის ტოლი დიამეტრი აქვთ.



ლაიმან-ალფას გარსი Ton 618-ის ირგვლივ
(კომპიუტერული სიმულაცია)

Ton 618-ის შემთხვევაში, ობიექტის გარშემო არსებულ ნისლეულს მინიმუმ 100 კილოპარსეკის (330 ათასი სინათლის წელი) ტოლი დიამეტრი აქვს, რაც დაახლოებით სამჯერ აღემატება ირმის ნახტომის დიამეტრს. ნისლეული შედგება ორი ნაწილისაგან: შიდა მოლეკულური მდგენელი, რომელიც გამოედინება გარეთ, და ვრცელი და ცივი მოლეკულური აირი მის გალაქტიკათშორის გარემოში; თითოეულს აქვს 50 მილიარდი $M_{\odot}$ მასა (ამ სიმბოლოთი მზის მასას აღნიშნავენ). Ton 618-ის ექსტრემალური გამოსხივება ალაგზნებს წყალბადის ატომებს ნისლეულში და ქვედა დონეებზე მათი შემდგომი თავისუფალი გადასვლებით იწვევს კაშკაშა ნათებას ლაიმან-ალფა ხაზში. ვინაიდან კვაზარები და LAB-ები თანამედროვე გალაქტიკების წინამორბედებად ითვლება, Ton 618-ზე და მის უზარმაზარ LAB-ზე დაკვირვებამ დაგვანახა პროცესები, რომლებიც განაპირობებს მასიური გალაქტიკების ევოლუციას, კერძოდ, აღწერს მათ იონიზაციას და ადრეულ განვითარებას.

2. ფენიქსის გროვა და ფენიქსის ზემასიური შავი ხვრელი.

ფენიქსის გროვა (SPT-CL J2344-4243) არის მასიური, აბელის I ტიპის გალაქტიკების გროვა, რომელიც მდებარეობს ფენიქსის თანავარსკვლავედში, ცის სამხრეთ ნახევარსფეროზე. იგი აღმოაჩინეს 2010 წელს ცის სამხრეთ ნახევარსფეროს 2500 კვადრატულ გრადუსიანი მიმოხილვის დროს სიუნიაე-ზედლოვიჩის ეფექტის გამოყენებით სამხრეთ პოლუსის ტელესკოპის თანამშრომლებმა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მასიური გალაქტიკათა გროვა, რომლის მასაც დაახლოებით $2 \times 10^{15} M_{\odot}$ -ის ტოლია. ამავე დროს იგი წარმოადგენს ყველაზე ძლიერ რენტგენული გამოსხივების წყაროს სხვა გალაქტიკურ გროვებთან შედარებით. ფენიქსის გალაქტიკური გროვა დედამიწიდან დაშორებულია 8,61 მილიარდი სინათლის წლით (2,64 გიგაპარსეკი). გროვაში იდენტიფიცირებულია 42 წევრი გალაქტიკა, რომლებიც შეყვანილია SIMBAD-ის ასტრონომიულ

მონაცემთა ბაზაში, თუმცა გალაქტიკათა რეალური რიცხვი შეიძლება იყოს 1000-მდე.

მისი ექსტრემალური თვისებების გამო, ფენიქსის გროვა ფართოდ იქნა შესწავლილი და ითვლება მისი ტიპის ობიექტების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კლასად.


ამ გროვის ცენტრალური ელიფსური cD გალაქტიკა, Phoenix A (RBS 2043, 2MASX J23444387-4243124), „მასპინძლობს“ გალაქტიკის აქტიურ ბირთვს, რომელიც აღწერილია, როგორც კვაზარი. ასევე იგი ამჟღავნებს ე.წ. სეიფერტის 2 ტიპის გალაქტიკების თვისებებს. ცენტრში განლაგებულია ზემასიური შავი ხვრელი. გალაქტიკას აქვს გაურკვეველი მორფოლოგია. გალაქტიკის ხილული კუთხური დიამეტრი 16.2 კუთხური სეკუნდია, რაც გალაქტიკების გროვამდე მანძილის გათვალისწინებით შეესაბამება 206,1 კილოპარსეკს (672 200 სინათლის წელი). ეს მას დედამიწიდან აღმოჩენილ ერთ-ერთ უდიდეს ცნობილ გალაქტიკად ხდის.

დაკვირვება სხვადასხვა ტელესკოპით, მათ შორის GALEX და Herschel კოსმოსური ტელესკოპებით, აჩვენებს, რომ ეს გალაქტიკა უაღრესად დიდი სიჩქარით გარდაქმნის ვარსკვლავთშორის ნივთიერებას ვარსკვლავებად (წელიწადში $740 M_{\odot}$). ეს მნიშვნელოვნად აღემატება NGC 1275 A-ს, ანუ პერსეუსის გროვის ცენტრალური გალაქტიკისას, სადაც ვარსკვლავები წარმოიქმნება დაახლოებით 20-ჯერ დაბალი ტემპით, ან ვარსკვლავების წარმოქმნის წლიურ სიჩქარეს ირმის ნახტომში ($1 M_{\odot}$ წელიწადში).

ფენიქსის გროვის ცენტრალური შავი ხვრელის გრავიტაცია არის მექანიზმი, რომელიც ამოძრავებს Phoenix A-ს სეიფერტის ბირთვს, და ასევე წარმოქმნის რელატივისტურ შვერილებს – ე.წ. ჯეტებს. მ. ბროკამპა (M. Brockamp) და მისმა კოლეგებმა გამოიყენეს ცენტრალური გალაქტიკის ვარსკვლავიერი კონცენტრაციისა და ადიაბატური პროცესის მოდელირება ისეთი პირობების მოსაძებნად, რომელიც ხელს შეუწყობდა მისი ცენტრალური შავი ხვრელის ზრდას. მათ სურდათ შეე-

ქმნათ კოლორიმეტრიული ინსტრუმენტი შავი ხერხელის მასის გასაზომად. ჯგუფმა გამოიტანა ენერგიის კონვერტაციის პარამეტრი, იგი დაუკავშირა ცხელი კლასტერული აირის ქცევას, გალაქტიკის აქტიურ ბირთვთან უკუკავშირის პარამეტრს და გალაქტიკის დინამიკასა და კონცენტრაციის პროფილებს, რათა შეექმნა ევოლუციური მოდელები იმისა, თუ როგორ იზრდებოდა ცენტრალური შავი ხერხელი წარსულში. Phoenix A-ს შემთხვევაში ნახვენებია, რომ მას აქვს ბევრად უფრო ექსტრემალური მახასიათებლები და ადიაბატური მოდელები უახლოვდებიან თეორიულ შეზღუდვებს.

როგორც სტატიაში ვარაუდობენ, ეს მოდელები მიუთითებენ ცენტრალურ შავ ხერხელზე, რომლის სავარაუდო მასა 100 მილიარდ $M_{\odot}$ -ს შეადგენს, ანდა შესაძლოა აღემატებოდეს ამ მასას, თუმცა თავად შავი ხერხელის მასა ჯერ კიდევ არ არის გაზომილი სხვა კინეტიკური მეთოდებით (მაგ. მოძრავი ნაკადების სიჩქარეები). ასეთი მაღალი მასა ხდის მას პოტენციურად ერთ-ერთ ყველაზე მასიურ შავ ხერხელად, რომელიც ცნობილია დაკვირვებად სამყაროში.



ფენიქსის შავი ხერხელის და Ton 618-ის შვარცშილდის დიამეტრების შედარება ნეპტუნის ორბიტასთან.

ჩამოვთვალეთ ფენიქსის შავი ხერელის ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრები:

ა. მისი მასა 24 000-ჯერ აღემატება ირმის ნახტომის ცენტრში არსებული შავი ხერელის (მშვილდოსანი A-ს) მასას.

ბ. მისი მასა ორჯერ აღემატება სამკუთხედის გალაქტიკისას, მისი ბნელი მატერიის ჰალოს ჩათვლით.

გ. ვარაუდობენ, რომ ეს არის არამბრუნავი შავი ხერელი, უზარმაზარი მოვლენათა ჰორიზონტით, რომლის შვარცშილდის დიამეტრიც 590,5 მილიარდი კილომეტრით (3900 ასტრონომიული ერთეული; 0,062 სინათლის წელი), 100-ჯერ აღემატება მანძილს მზიდან პლუტონამდე.

დ. მის შვარცშილდის სფეროს გააჩნია გარშემოწერილობა, რომლის შემოვლასაც სინათლე 71 დღესა და 14 საათს მოანდომებს.

ე. ასეთი დიდი მასის გამო, იგი შეიძლება გადაიყვანონ ზემასიური შავი ხერელების კატეგორიაში. ეს შავი ხერელები შესაძლოა შეიქმნა პირველადი შავი ხერელების შეერთების საფუძველზე და მათი მასა შეიძლება აღემატებოდეს 100 მილიარდ $M_{\odot}$ -ს,

3. OJ 287

OJ 287 არის BL Lac ობიექტი დედამიწიდან 4 მილიარდი სინათლის წლის მანძილზე. მისი კვაზი-პერიოდული ოპტიკური ანთებები ფიქსირდება ჯერ კიდევ 1887 წლის ასტროფოტოგრაფიულ ფირფიტებზე. რადიოდიაპაზონში იგი პირველად იპოვეს ოპაიოს ცის მიმოხილვებში. ეს არის ზემასიური შავი ხერელების ორმაგი სისტემა (SMBHB). ანთებების სიკაშკაშე აჭარბებს მზის სიკაშკაშეს ტრილიონჯერ, რაც აღემატება მთელი ირმის ნახტომის გალაქტიკის ნათებას.

SMBHB-ის ანთებებისა და თვისებების ცვალებადობის გავრცელებისწინებით, შემოთავაზებულია მრავალი მოდელი ამ ცვალებადობის ასახსნელად. პირველი მოდელის შეფასებით, პირველადი შავი ხერელის მასა დაახლოებით 18.35 მილიარდი

მზის მასაა, ხოლო მეორადი შავი ხვრელისა დაახლოებით 150 მილიონი მზის მასა. უახლესი მოდელების შეფასებით, ცენტრალური ზემასიური შავი ხვრელის მასა 100 მილიონი მზის მასაა, ბევრად ნაკლები, ვიდრე წინა შეფასებებით მიღებული. ამ უკანასკნელი შეფასების მიხედვით მისი შვარცშილდის რადიუსი 1,97 ა.ე.-ია.


ოპტიკური სინათლის მრუდი გვიჩვენებს, რომ OJ 287-ს აქვს 11-12 წლიანი ცვალებადობის პერიოდი, რომელსაც ახასიათებს ვიწრო ორმაგი პიკი მაქსიმალური სიკაშკაშისა. ამ სახის ცვალებადობა გულისხმობს, რომ ეს არის ორმაგი ზემასიური შავი ხვრელი. ითვლება, რომ სიკაშკაშის ორმაგი პიკი გამოწვეულია პატარა შავი ხვრელის მიერ უფრო დიდი შავი ხვრელის აკრეციული დისკოს გადაკვეთით ყოველ 12 წელიწადში ორჯერ.

პატარა შავი ხვრელი ბრუნავს უფრო დიდის გარშემო: მისი დანაკვირვები ორბიტული პერიოდი დაახლოებით 12 წელია, გამოთვლილი ექსცენტრისიტეტი კი დაახლოებით 0,65. მაქსიმალური სიკაშკაშე მიიღება, როდესაც მცირე კომპონენტი მოძრაობს ზემასიური კომპონენტის აკრეციის დისკოზე პერიასტრში. მისი ორბიტის პერიასტრის და აპოასტრის (გრავეიტაციული ცენტრიდან ორბიტის უახლოესი და უშორესი წერტილების) დაშორება ზემასიური კომპონენტიდან შესაბამისად არის დაახლოებით 3250 და 17500 ა. ე. ბოლო მოდელებში, მეორადი ზემასიური შავი ხვრელის მასა დაახლოებით 125 მილიონი მზის მასის ტოლია, თუმცა ამაზე ჯერჯერობით კიდევ მიდის მსჯელობა.

ყველა ცნობილი ამოფრქვევის რეპროდუცირების მიზნით, პირველადი შავი ხვრელის ბრუნვა ე.წ. კერის შავი ხვრელისთვის (ეს სივრცის მეტრიკის ერთ-ერთი სახეა) ფასდება მაქსიმალური დასაშვები ბრუნვის 38%-ად.

თანამგზავრის ორბიტა არამდგრადია გრავეიტაციული გამოხიზების გამო – მისი გეომეტრიული ზომები თანდათან მცირდება და მოსალოდნელია, რომ თანამგზავრი შეერწყას

ცენტრალურ შავ ხვრელს დაახლოებით 10 000 წლის განმავლობაში.



ორმაგი ზემასიური შავი ხვრელი OJ 287

მცირე დამატება.

ამ სერიოზული ინფორმაციის შემდეგ მკითხველს განტვირთვისათვის ეთავაზობ ფანტაზიისა თუ ჰიპოთეზის სახით ერთ მოსაზრებას.

მეცნიერთა ნაწილის აზრით ზემასიური შავი ხვრელები ასეთებად იქცევიან რომელიმე შესაძლო პროცესით წარმოქმნილი, გაცილებით მცირემასიანი შავი ხვრელების მიერ გარე ობიექტთა თანდათანობითი შთანთქმით, ოღონდ ეს ჯერ დამტკიცებული არაა.

ვიგულისხმობ, რომ ისინი „სამყაროს“ დასაწყისიდან არსებული, საკუთარი დრო-სივრცის მქონე ობიექტებია.

ბუშტოვანი სამყაროს მოდელით, ჩვენი სამყაროს (მეტაგალაქტიკის) გარეთ არსებობენ სხვა სამყაროები (შავი ხვრელები), რომლებთანაც ჩვენს სამყაროს არა აქვს კონტაქტი და რომელთა სიმრავლე კმნის ზესამყაროს.

ვიღებთ ანალოგიას: ზემასიური შავი ხვრელები ელემენტები ჩვენი სამყაროსი, ეს უკანასკნელი კი – ელემენტი ზესამყაროსი.

ზემასიური შავი ხვრელები იზრდებიან (ზომით და მასით) გარეობიექტების შთანთქმით. ჩვენი სამყაროც იზრდება (ზომით) აჩქარებულად. მიზეზი უცნობია.

თუ შავი ხვრელებიც აჩქარებულად ფართოვდებიან (ეს ასეა თუ არა, არ ვიცით), ამისი მიზეზი გარე (ანუ ჩვენი სამყაროს) მასათა გრავიტაცია იქნება.

თუ ჩვენი სამყარო ზესამყაროს ელემენტია, მაშინ მისი გაფართოების მიზეზიც (ანუ ე.წ. უარყოფითი ენერგია) ზესამყაროს ნივთიერებისაგან მიზიდულობა უნდა იყოს.

ბოლოს, ანალოგიით, ჩვენს სამყაროსაც უნდა ჰქონდეს აკრეციული დისკო და ე.წ. ჯეტი (თუ სამყაროთაშორისი სივრცე ვაკუუმი არაა), რომელიც ჩვენთვის ხილვადი იქნება.

რედაქტორის მინაწერი

სტატიის ეს „მცირე დამატება“ მკითხველისთვის ბოლომდე გასაგები და მთლად დამაჯერებელიც ვერ იქნება, რადგან მისი ზოგადი წანამძღვრები (აჩქარებული გაფართოება შავ ხვრელებში, ზესამყაროს არსებობა და სხვ.) დღეისათვის დაუმტკიცებელია, თანაც ზოგი ცნება წერილში განუმარტავადაა ნახსენები. არც ზემასიურობის რაიმე გამყოფი რაოდენობრივი საზღვარია მონიშნული. მაგრამ თვით თემაა ურთულესი და მისი დალაშქვრა ჯერ ბოლო სტადიისგან ძალზე შორსაა. ამიტომ არაერთ სხვა ასტროფიზიკოსსაც გამოუთქვამს შავ ხვრელებზე საუბრისას სრულიად პარადოქსული აზრები. ეფიქრობ, რომ ამ მოსაზრებათა გაცნობამ შესაძლოა მკითხველში სამყაროს აგებულებაზე ფიქრი გააძლიეროს.

პროფესორ ვიქტორ ჯაფიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

ო. კვარაცხელია

ცნობილი ქართველი ასტრონომი ვიქტორ პეტრეს ძე ჯაფიაშვილი დაიბადა 1924 წლის 20 ივნისს, ბორჯომის რაიონის სოფელ დაბაში. ამ სოფელშივე გაატარა ბავშვობა და ახალგაზრდობა. ჩვიდმეტი წლის ასაკში წარჩინებით დაამთავრა სოფელ წაღვერის საშუალო სკოლა და 1941 წელს ჩაირიცხა ამიერკავკასიის რკინიგზის ინსტიტუტში ხიდებისა და გვირაბების მშენებელი ინჟინრის სპეციალობაზე. ამავე წელს, დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, გამოცხადდა ბორჯომის სამხედრო კომისარიატში და მოითხოვა სამხედრო სამსახურში გაწვევა, როგორც მოხალისე პირმა, რადგანაც ამ მომენტში არ იყო სამხედრო ვალდებული და, გარდა ამისა, მას ინსტიტუტიდანაც ჰქონდა ჯავშანი. არმიაში ყოფნისას იგი მონაწილეობდა კავკასიის დაცვის ბრძოლებში. 1942 წელს ქალაქ ტუაფსესთან დაიჭრა და მარჯვენა ხელზე დაკარგა დიდი და საჩვენებელი თითები, რის გამოც დემობილიზებულ იქნა სამხედრო სამსახურიდან და დაბრუნდა სახლში. იგი მუშაობას იწყებს მათემატიკის მასწავლებლად თავის, უკვე მშობლიურ, წაღვერის სკოლაში.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელსვე, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ასტრონომიულ საგნებს მას პროფესორები ევგენი ხარაძე და ნინო მაღნარაძე ასწავლიდნენ. მათთან ურთიერთობაში გადაწყდა, რომ მომავალში იგი ფრონციონალი ასტრონომი გამხდარიყო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ე. ხარაძე მას სთავაზობს სამუშაოდ ჩავიდეს აბასთუმნის ობსერვატორიაში.

იგი თანხმდება მიწვევას და 1948 წელს ქიმიკოს მეუღლესა და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად (თემური და მანანა) ჩადის ობსერვატორიაში, სადაც იგი მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. შემდგომში ხშირად აღუნიშნავს, რომ თავისი ამ ნაბიჯით ძალიან კმაყოფილი იყო და ყველა შემთხვევაში იმავეს გაიმეორებდა. რაც შეეხება ბატონი ვიქტორის მეუღლე ქალბატონ დარეჯან ჭიპაშვილს, იგი სათავეში ჩაუდგა და ასევე სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ობსერვატორიაში სამეცნიერო ფოტოგრაფიისა და ელექტროგრაფიის განყოფილებას.

ვიქტორ ჯაფიაშვილი იყო პირველი, ვინც მთვარის ზედაპირის პოლარიზაციული მეთოდით შესწავლისას გამოიყენა ელექტროფოტომეტრი. საერთოდ კი მთვარის პოლარიზაციული მეთოდით შესწავლა ფრანგმა მეცნიერმა ფრანსუა არაგომ დაიწყო. 1811 წელს მან თვითნაკეთი „პოლაროსკოპის“ გამოყენებით ჩაატარა მთვარეზე დაკვირვებები. მის შემდეგ მთვარის პოლარიზაციას სწავლობდნენ სეკი, როსი, ლანდერერი, ბარაბაშოვი და სხვები. ისინი იყენებდნენ კორნის ან სავარის ფოტოპოლარიმეტრებს, რაც იმ ხანებში არსებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ სავარის ელექტროფოტომეტრის გამოყენებით ფრანგმა მეცნიერმა ბ. ლიომ (მედონის ობსერვატორია) 1919 წელს მთვარის დეტალების პოლარიზაციის მნიშვნელობები გაზომა საკმაოდ ზუსტად. მანვე პირველმა აღმოაჩინა მთვარის ზედაპირზე უარყოფითი პოლარიზაციის არსებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთვარის ზედაპირის ფაზის კუთხის ± 20 გრადუსიან შუალედში პოლარიზაციის მნიშვნელობა უარყოფითი ხდება – პოლარიზაციის სიბრტყე შემობრუნდება 90 გრადუსით თავისი პირვანდელი მდებარეობის მიმართ (ამას უწოდებენ უარყოფით პოლარიზაციას, შემობრუნების მომენტის შესაბამის ფაზის კუთხეებს ანუ $+20$ გრადუსსა და -20 გრადუსს კი – ინვერსიის კუთხეებს).

1949 წელს ბ. ლიო და ა. დოლფუსი აკვირდებოდნენ მთვარის დეტალებს „პოლაროსკოპით“ აღჭურვილი ვიზუალური

პოლარიმეტრის მეშვეობით. როგორც აღნიშნული ფაქტებიდან ჩანს, ამ პერიოდამდე არსებული ყველა დაკვირვებითი მასალა მიღებული იყო ვიზუალური ან ფოტოგრაფიული მეთოდებით და ისინი ხასიათდებოდნენ დაბალი სიზუსტით ელექტროფოტომეტრიულ მეთოდთან შედარებით. აუცილებელი იყო ამ ახალ მეთოდზე გადასვლა.

აბასთუმნის ობსერვატორიაში წლების განმავლობაში 33 სმ-იან პონომარიოვის რეფლექტორზე დაკვირვებებისათვის გამოიყენებოდა ცნობილი მეცნიერების ა. მარკოვისა და ნ. კულიკოვის მიერ შემუშავებული და აგებული პირველი ელექტროფოტომეტრი. ვ. ჯაფიაშვილმა ეს ხელსაწყო გადააკეთა ელექტროპოლარიმეტრად, რისთვისაც მასში ანალიზატორად გამოიყენა ჰეპატიტური პოლარიოიდი. ამ ხელსაწყოთი 1950-53 წწ-ში იგი აკვირდებოდა და იკვლევდა მთვარის 41 მორფოლოგიურად და ფიზიკურად განსხვავებულ დეტალს. მიღებული გაზომვებიდან პოლარიზაციის ხარისხისა და კუთხის გამოსათვლელად გამოყენებული იქნა ვ. ჩერენკოვის ცნობილი ფორმულები და ამ მიზნით ინტენსივობებს იღებდნენ პოლარიოიდის სამ მდგომარეობაში.

მიღებული მასალის საფუძველზე 1955 წელს ვ. ჯაფიაშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მთვარის ზედაპირის პოლარიზაციული თვისებების გამოკვლევა ელექტროპოლარიმეტრიული მეთოდით“. 1957 წელს ამავე თემაზე გამოაქვეყნა მონოგრაფია, სადაც შეიტანა მთვარის 41 დეტალის ფაზურ-პოლარიზაციული მრუდები, ცხადია, უფრო მაღალი სიზუსტისა, წინა მკვლევრებთან შედარებით. მიღებული შედეგებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ დადასტურდა ბ. ლიოს მიერ შენიშნული ეფექტი, რომ ფაზის კუთხის ± 20 გრადუსიან შუალედში პოლარიზაცია ხდება უარყოფითი. თუმცა უარყოფითი პოლარიზაციის საკითხს ვ. ჯაფიაშვილი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიიჩნევს რეფლექტორში არსებული პარაზიტული პოლარიზაციის გამო და აუცილებლად მიაჩნია დაკვირვებების გადატანა პარაზიტული პოლა-

რიზაციისგან თავისუფალ რეფრაქტორულ ტელესკოპში. ვ. ჯაფიაშვილმა პირველმა შენიშნა, რომ მთვარის ფიზიკურად და მორფოლოგიურად განსხვავებული ობიექტები (დეტალები) სხვადასხვანაირად აპოლარიზებენ მათი ზედაპირიდან არეკლილ სინათლეს, კერძოდ მთები – ნაკლებად, ზღვები – მეტად.

ვ. ჯაფიაშვილის ხელმძღვანელობით 1961 წელს აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ლ. ქსანფომალიტისა და ა. მაიერის მიერ დამზადებული იქნა „ელექტროპოლარიმეტრი“ (საავტორო უფლება N146076, 1961 წ.), ხოლო 1966 წელს, მათ მიერვე – „ავტომატური ელექტროპოლარიმეტრი – ЭАП66“, რომელიც შემდგომში გამოიყენებოდა მთვარეზე, პლანეტებზე და ვარსკვლავებზე დასაკვირვებლად – მათი პოლარიზაციული თავისებურებების შესწავლის მიზნით.

1970-იან წლებში ვ. ჯაფიაშვილის ხელმძღვანელობით და მისი ტექნიკური ჩანაფიქრის შესაბამისად, ა. კოროლმა და ა. მაიერმა შექმნეს სრულიად უნიკალური იმ დროისათვის ხელსაწყო „ელექტროპოლაროფიზორი“. ეს ხელსაწყო დაფუძნებული იყო პრინციპზე – მთვარის პოლარიზაციული გამონასახების შენახვა მაგნიტურ ლენტზე და შემდგომში მისი კარტოგრაფირება. სინათლის მიმღებად გამოყენებული იყო ფოტოელექტრომამრავლებელი FEU-38. რუკაზე პოლარიზაციის ხარისხის გამოყოფა ხდებოდა იზოპოლარებით, 1%-იანი ინტერვალით. ამ ხელსაწყოს საშუალებით აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის 40 სმ-იან ცეისის რეფრაქტორზე ვ. ჯაფიაშვილმა 1971-75 წწ-ში ჩაატარა დაკვირვებების სერია მთვარის 46 ფაზაზე. მათგან შერჩეული 22 ფაზისგან, მსოფლიოში პირველად, შედგენილი იქნა მთვარის პოლარიმეტრული რუკები, რომელიც 1982 წელს გამოიცა, როგორც „მთვარის პოლარიმეტრიული ატლასი“. 1984 წელს აღნიშნულ ატლასს მიენიჭა „ბრედისინის სახელობის სახელმწიფო პრემია“.

1974 წელს ვ. ჯაფიაშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის რადიოელექტრონიკისა (ხელმძღვანელი ა. კოროლი) და ზუსტი

მექანიკისა და ოპტიკის (ხელმძღვანელი ა. მაიერი) ლაბორატორიებში შემუშავდა და დამზადდა უნიკალური იარაღი „ავტომატური სკანირებადი ელექტროპოლარიმეტრი – АСЭП74“, მცირე განახლების შემდეგ – АСЭП78). პოლარიმეტრი აღჭურვილია 10 ინტერფერენციული სინათლის ფილტრით (ნახევარსიგანე <100 ანგსტრემზე) და 6 დიაფრაგმით 1,5“ – 60“ შუალედში. მასში სინათლის მიმდებარე გამოყენებული იქნა ფოტოელექტრომამრავლებელი FEU-79. პოლაროიდ-ანალიზატორის ბრუნვის სიხშირეა 17 ჰერცი. ხელსაწყო, რომლის ცდომილება პოლარიზაციის ხარისხის გაზომვაში 0,1-0,2 %-ია, დღემდე ითვლება ერთ-ერთ ზუსტ პოლარიმეტრად. ამ ხელსაწყოს გამოყენებით, 40 სმ-იან რეფრაქტორზე, ო. კვარაცხელია იკვლევდა მთვარის 100 ობიექტს და მთვარიდან „აპოლონი“ და „ლუნა“ კოსმოსური ხომალდების მიერ ჩამოტანილი ქანების 21 ნიმუშის პოლარიზაციულ თვისებებს (იხ მონოგრაფია, აბაო ბიულეტენი, N64, 1988 წ.).

ვ. ჯაფიაშვილი იყო აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში 1957-92 წწ-ში ანუ 35 წლის განმავლობაში. მან 50-იან წლებში ჩამოაყალიბა „მზის სისტემის სხეულების პოლარიმეტრიული კვლევის“ ჯგუფი და წარმატებით ხელმძღვანელობდა მას სიცოცხლის ბოლომდე. ვ. ჯაფიაშვილის ხელმძღვანელობით და კონსულტაციებით დაცული იქნა 10 საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაცია. მისი მოსწავლეები დღესაც აგრძელებენ სამეცნიერო საქმიანობას აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ამ დარგში. ბ-ნი ვიქტორი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დღეს ამ საქმეს აგრძელებენ მისი ყოფილი მოწაფეები. ვ. ჯაფიაშვილის ძირითადი შედეგები გამოყენებულია მრავალ სტატიაში, მონოგრაფიასა და სახელმძღვანელოში უცხოელი ავტორების მიერ. თვითონაც მრავალჯერ გაუკეთებია მოხსენებები სამეცნიერო სემინარებსა თუ კონფერენციებზე.

2018 წელს საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილებით სახელდება „ვიქტორ ჯაფიაშვილი“ შეტანი-

ლია მთვარის წარმონაქმნთა სავარაუდო სახელების ბანკში
იმ მიზნით, რომ მომავალში იგი დაერქვას მთვარის ერთ-ერთ
კრატერს.

ბატონი ვიქტორი 2015 წლის 17 აგვისტოს 92 წლის ასაკში
გარდაიცვალა და მისივე ანდერძის მიხედვით დასაფლავებუ-
ლია მშობლიურ დაბაში, მშობლების გვერდით.

**ასტრონომიული კალენდრის
სამოცღამებრთე-სამოცღამეხუთე გამოწვევებში
მოთაფსეშლი სამეცნიერო-კოჟულარული წერილები**

	გამო- შვება	გვ. გვ.
1. სამყაროს შეცნობა ღრმავდება (ახალ აღმოჩენათა კვალდაკვალ). შ. საბაშვილი	LXI	105-122
2. ასტროპოლარიმეტრია და პოლარი- მეტრიული კვლევები აბასთუმნის ას- ტროფიზიკურ ობსერვატორიაში თ. კვერნაძე, გ. ქურხული	LXI	123-133
3. სამყაროს შეცნობა ღრმავდება (ახალ აღმოჩენათა კვალდაკვალ). შ. საბაშვილი	LXII	105-124
4. ცვალებადი მზე. ბ. ჩარგეიშვილი	LXII	125-133
5. სამყაროს შეცნობა ღრმავდება (ახალ აღმოჩენათა კვალდაკვალ). შ. საბაშვილი	LXIII	105-116
6. ქეროლაინ ჰერშელი – ლეგენდარული ასტრონომი ქალი. ა. როგავა	LXIII	117-130
7. გლაზენაპის კოშკი აბასთუმანში. ვინ იყო გლაზენაპი? გ. ქურხული	LXIII	131-137
8. სამყაროს შეცნობა ღრმავდება (ახალ აღმოჩენათა კვალდაკვალ). შ. საბაშვილი	LXIV	105-129
9. კოსმოსური ამინდი და მზის ფიზიკის პრობლემები. ნ. ოღრაპიშვილი	LXIV	130-142
10. სამყაროს შეცნობა ღრმავდება (ახალ აღმოჩენათა კვალდაკვალ). შ. საბაშვილი	LXV	105-

შინაარსი

წინასიტყვაობა სამოცდამეხუთე გამოცემისათვის	3
წლის დროების დასაწყისი	4
გოგიერთი ქალაქის გაოგრაფიული კოორდინატები	4
ტაბულ-კალენდარი 2025 წ.	5
ასტრონომიული ნიშნები და აღნიშვნები	6
ბერძნული ანბანი	7
როგორ ვისარგებლოთ კალენდრით	7

ცვალებადი ნაწილი

მზის ეფემერიდები, მზის ამოსვლა-ჩასვლისა და ზაღა	
კულმინაციის მომენტები	22
მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მომენტები	46
მთვარის ფაზები	50
პაჰაჰა პლანეტების ხილვადობა	51
პაჰაჰა პლანეტების ეფემერიდები. მათი ამოსვლა-ჩასვლისა და ზაღა	
კულმინაციის მომენტები	58
სამოქალაქო და ასტრონომიული ბინდი და დღის ხანგრძლივობა	68
მზის დაბნელებანი 2025 წელს	70
მთვარის დაბნელებანი 2025 წელს	71
შესანიშნავი მეთოდური ნაკადები	72
ვარსკვლავთა საშუალო მდებარეობანი	73
ცვალებადი ვარსკვლავები	77
მონაცემები გრძელვადიანი ცვალებად ვარსკვლავებზე	
დაკვირვებისათვის	77
მონაცემები ბნელებადი-ცვალებადი ვარსკვლავის	
პერსეუსის β-ს დაკვირვებისათვის	78
გოგიერთი თანავარსკვლავედის მდებარეობა ცაზე სხვადასხვა თვეში	81

მუდმივი ნაწილი

რეფრაქცია	83
რეფრაქციის შესწორება T ტემპერატურასა და B ბარომეტრულ წნევაზე	84
წნობები რამდენიმე უახლოესი ვარსკვლავის შესახებ	85
წნობები რამდენიმე უახლოესი ვარსკვლავის შესახებ	86
ორჯერადი ვარსკვლავები კომპონენტებს შორის გვეთრად	
ბანსხვავებული ფარებით	86
ორჯერადი ვარსკვლავები	87
ღია და სფერული გროვები	88
ბნელი, დიფუზური და პლანეტარული ნისლეულები	89

გალაქტიკები	90
ცნობები პლანეტებზე	91
ცნობები პლანეტათა თანამგზავრებზე	92
ცნობები დედამიწაზე, მზეზე, მთვარეზე	96
ზოგიერთი მნიშვნელოვანი სიდიდე	98
ფიზიკური მუდმივები	98
სიგრძისა და მანძილის ერთეულები	99
მათემატიკური სიდიდეები	99
თანაპარსკვლავების სახელწოდებანი და აღნიშვნები	100
საშუალო დროის შუალედის პარსკვლავიერ დროში გადასაყვანი ცხრილი	102
პარსკვლავიერი დროის შუალედის საშუალო დროში გადასაყვანი ცხრილი	103
რაკლის გრადუსებისა და მიწუბების დროის საათებსა და წუთებში გადასაყვანი ცხრილი	104

დაშატბანი

სამყაროს შემცნობა ღრმავდება (ახალ აღმოჩენათა კვალდაკვალ)

შ. საბაშვილი.....	105
-------------------	-----

ზოგიერთი ზემასიური შავი ხვრელის შესახებ

ბ. ჭავჭავაძე.....	123
-------------------	-----

პროფესორ ვიქტორ ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა

ო. კვარაცხელია.....	135
---------------------	-----

ასტრონომიული კალენდრის სამოცდაშვირთა-სამოცდაშვირთა

გამოშვებებში მოთავსებული სამეცნიერო-პოპულარული წერილები	141
--	-----

